მემორანდუმი
ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

ქ. ზუგდიდი, 1 მარტი, 2021 წელი

მემორანდუმზე ხელისმომწერი მხარეები,

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში - სასწავლო უნივერსიტეტი), წარმოდგენილი მისი რექტორის, პროფესორ თეონა ხუფენიას სახით და საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ზუგდიდის რაიონის სოფ.ინგირის მე-2 საჯარო სკოლა (შემდგომში- სკოლა), წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, მარინე ლოლაძეს სახით, თანხმდებიან ურთიერთთანამშრომლობის წინამდებარე პირობებზე:

1. მემორანდუმის საგანი

მემორანდუმის საგანია მხარეებს შორის ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპებზე დაფუძნებული თანამშრომლობა ,,მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ,,დაწყებითი განათლება“ და ,,მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამის“ ფარგლებში.

2. მემორანდუმის მიზანი

წინამდებარე მემორანდუმის მიზანია ერთი მხრივ, სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკული გამოცდილებით გამდიდრების, მათი კვალიფიკაციის ამაღლების, პროფესიული უნარ-ჩვევების გაღრმავებისა და, მეორე მხრივ, სკოლის მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობის მიზნით ერთობლივი პროგრამების/ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება; მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნაში, ინტერაქტიული მიდგომების დანერგვაში, მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნებისა და პრობლემების გადაჭრის უნარ-ჩვევების გამომუშავებაში ურთიერთდახმარება. აღნიშნული მიმართული იქნება მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლებაზე დაფუძნებული სისტემის ჩამოყალიბების, სტუდენტი ახალგაზრდობის, სკოლის პედაგოგების პროფესიული განვითარებისა და სკოლის მოსწავლეებში მეცნიერების პოპულარიზაციის, მათი პროფესიული ორიენტირების ხელშეწყობისაკენ.

3. მემორანდუმის ამოცანები

3.1. სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტების/მაგისტრანტების პედაგოგიური პრაქტიკის გავლის და პრაქტიკის კვლევის უზრუნველყოფა;
3.2. ბაკალავრიატის დამამთავრებელი კურსის სტუდენტებისა და მაგისტრანტების შერჩევა სტაჟირების გასავლელად;
3.3. წარჩინებული კურსდამთავრებულების დასაქმებაზე ზრუნვა;
3.4. მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართული პედაგოგების ხელშეწყობა;
3.5. ერთობლივი სამეცნიერო-მეთოდური, პრაქტიკული კონფერენციების ორგანიზება;
3.6. ერთობლივი კვლევების განხორციელება.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

სასწავლო უნივერსიტეტი:

<u>სასკოლო პრაქტიკის ფარგლებში:</u>

4.1. აყალიბებს პრაქტიკის კონცეფციას, რომელშიც მოცემული იქნება პრაქტიკის, როგორც პროგრამის კომპონენტის, მიზანი, შედეგები, შეფასების სისტემა და კრიტერიუმები, ვადები, სტუდენტისა და ხელმძღვანელის დატვირთვის მოცულობა, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;

4.2. უზრუნველყოფს პრაქტიკის კონცეფციის ჩამოყალიბებისა და განხილვის პროცესში სკოლის ადმინისტრაციის ჩართულობას;

4.3. კოორდინირებას უწევს პრაქტიკის კომპონენტის განხორციელებას;

4.4. ატარებს სამუშაო შეხვედრებს სკოლის ადმინისტრაციასთან და პრაქტიკის ხელმძღვანელ-მასწავლებელთან პრაქტიკის პროცედურასა და პროგრამის იმ კურსის თემატიკასთან დაკავშირებით, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს პრაქტიკა;

4.5. მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყოფს პრაქტიკის ხელმძღვანელი-მასწავლებლის პერიოდულ ტრენინგებს კომპონენტის მოთხოვნების და სპეციფიკის გათვალისწინებით;

4.6. აწარმოებს პრაქტიკის მონიტორინგს, აანალიზებს მონიტორინგის შედეგებს და ამზადებს რეკომენდაციათა პაკეტს პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით და უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაციის ჩართულობას აღნიშნულ პროცესში;

4.7. პრაქტიკის კომპონენტის შეუფერხებლად განხორციელების მიზნიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, აუცილებელ დახმარებას უწევს პრაქტიკის ხელმძღვანელ-მასწავლებელს პროფესიულ განვითარებაში, როგორც ინდივიდუალური კონსულტაციებითა და ლექციებზე დასწრებით, ისე სასწავლო უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო ფონდით სარგებლობის უფლებით (მ.შ. ონ-ლაინ სერვისებით) და კურსების ფარგლებში გამოყენებული რესურსების (მ.შ. ელექტრონული) გაზიარებით;

4.8. წინასწარ შემუშავებული და სათანადოდ შეთანხმებული კრიტერიუმებით აფასებს პრაქტიკის ხელმძღვანელი-მასწავლებლის მუშაობას სტუდენტებთან;

4.9. სკოლის მოთხოვნისა და შესაბამისი კანდიდატის არსებობის შემთხვევაში, სთავაზობს სკოლას შესაბამისი საგნის/საგნობრივი ჯგუფის მიმართულების სტუდენტს ან სასწავლო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს სტაჟიორის/პრაქტიკანტის ან მასწავლებლის თანამდებობაზე მაძიებლად .

<u>პრაქტიკის კვლევის ფარგლებში:</u>

4.10. ეხმარება სკოლას საკუთარი პრობლემების იდენტიფიცირებაში, მათ გაანალიზებაში, სათანადო ინტერვენციების დაგეგმვაში, განხორციელებასა და შეფასებაში;

4.11. ეხმარება პრაქტიკის კვლევაში ჩართულ სკოლის მასწავლებლებს კვლევითი კომპეტენციის შემდგომ ამაღლებაში;

4.12. აწარმოებს მონიტორინგს სასწავლო უნივერსიტეტისა და სკოლის მიერ ერთობლივად დაგეგმილი პრაქტიკის კვლევის მიმდინარეობაზე და პერიოდულად გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს კვლევის გაუმჯობესების მიზნით.

სკოლა:

<u>სასკოლო პრაქტიკის ფარგლებში:</u>

4.13. უზრუნველყოფს პრაქტიკანტისთვის სასწავლო უნივერსიტეტის მოთხოვნის შესაბამისი საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის შერჩევას პრაქტიკის ხელმძღვანელად.

4.14. უზრუნველყოფს მასწავლებლის სრულ ჩართულობას გაკვეთილის პროცესში, მათი მხრიდან კონსულტაციებისა და სილაბუსით გათვალისწინებული სხვა აქტივობების განხორციელებას.

4.15. უზრუნველყოფს სასკოლო პრაქტიკის შეუფერხებელ განხორციელებას სასწავლო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული პრაქტიკის კონცეფციის შესაბამისად;

4.16. მონაწილეობას იღებს სასწავლო უნივერსიტეტის მხრიდან დაგეგმილ პრაქტიკასთან დაკავშირებულ სამუშაო შეხვედრებში;
4.17. ეხმარება სტუდენტს სასკოლო პრაქტიკის ორგანიზაციული მხარის მოგვარებაში;
4.18. სასწავლო უნივერსიტეტს ატყობინებს სტუდენტის მხრიდან პრაქტიკის მიმდინარეობისას წარმოქმნილი ნებისმიერი პრობლემის შესახებ;
4.19. ხელს უწყობს პრაქტიკანტს დაგეგმილი რაოდენობის საგაკვეთილო საათებზე დაკვირვებაში, ასისტირებასა და ჩატარებაში;
4.20. მართავს პრაქტიკანტებთან რეგულარულ სარეფლექსიო დისკუსიებს და აძლევს კონსტრუქციულ უკუკავშირს პრაქტიკის გასაუმჯობესებლად;
4.21. უზრუნველყოფს პრაქტიკანტის ჩართვას სასკოლო ცხოვრების არასაგაკვეთილო აქტივობებში, პრაქტიკის კომპონენტის საჭიროებიდან გამომდინარე და პრაქტიკანტის დაინტერესების შემთხვევაში;
4.22. სასწავლო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული პრაქტიკის კომპონენტის შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით აფასებს პრაქტიკანტს და წერილობით აწვდის ინფორმაციას იმ კურსის ხელმძღვანელს, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პრაქტიკა;
4.23. სასწავლო უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებულ პრაქტიკანტს, სტაჟიორ-მასწავლებელსა თუ მასწავლებელს უქმნის სათანადო პირობებს პროფესიული განვითარებისა და თვითრეალიზებისათვის.

<u>პრაქტიკის კვლევის ფარგლებში:</u>

4.24. ხელს უწყობს პრაქტიკის კვლევის სტუდენტთა ჯგუფს კვლევის შეუფერხებლად განხორციელებაში;
4.25. უზრუნველყოფს კვლევის კომისიის წევრი მასწავლებლების აქტიურად ჩართვას პრაქტიკის კვლევის პროცესში;
4.26. აფასებს სტუდენტების მიერ სკოლაში განხორციელებულ სამუშაოს სასწავლო უნივერსიტეტის მიერ მოწოდებულ შეფასების ინსტრუმენტზე დაყრდნობით;
4.27. საჭირო მხარდაჭერაზე უარის თქმის შემთხვევაში, სკოლა წერილობით ასაბუთებს უარის მიზეზებს.

5. ერთობლივი ღონისძიებების ორგანიზების ფარგლებში

<u>უნივერსიტეტი უფლებამოსილია:</u>

5.1. სკოლებს შორის პროფესიული გამოცდილების გაზიარების მიზნით, ხელი შეუწყოს სასწავლო უნივერსიტეტთან მემორანდუმით გაფორმებული სკოლების ქსელის ჩამოყალიბებასა და მის საქმიანობას;
5.2. ხელი შეუწყოს მემორანდუმის ფარგლებში ჩამოყალიბებულ ქსელში შემავალ სკოლებს საუკეთესო პედაგოგიური პრაქტიკის ურთიერთგაზიარებაში (კონფერენციები, ერთობლივი პუბლიკაციები, ერთობლივი პროექტების მომზადება და ა.შ.);

<u>სკოლა უფლებამოსილია:</u>

5.3. აქტიურად ჩაერთოს მემორანდუმის ფარგლებში ჩამოყალიბებული სკოლების ქსელის მუშაობაში;
5.4. აქტიურად ითანამშრომლოს სხვა სკოლებთან საკუთარი საუკეთესო გამოცდილების გაზიარებისა და სასწავლო უნივერსიტეტთან ურთიერთობის დამყარების მიზნით.

6. დასკვნითი დებულებები

6.1. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.

6.2. მემორანდუმი ძალაში შედის ორივე მხარის მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 6 წლის ვადით;

6.3. მხარეები უფლებამოსილი არიან, შეიტანონ ცვლილებები საჭიროების შემთხვევაში ან შეწყვიტონ მემორანდუმი, რის შესახებაც წერილობითი ფორმით აცნობებენ ერთმანეთს არანაკლებ ერთი თვით ადრე. მემორანდუმი წყდება სურვილის გამოხატვიდან 30-ე დღეს.

მხარეთა რეკვიზიტები:

სასწავლო უნივერსიტეტი	**სკოლა**
სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი მისამართი: ჯანაშიას ქ, №14, ზუგდიდი, საქართველო	ზუგდიდის რაიონის სოფ. ინგირის მე-2 საჯარო სკოლა მისამართი: ინგირი, საქართველო
სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის:	სკოლის დირექტორის მ/შ:
თეონა ხუციშვილი	მარიწე ლოლაძე